გთავაზობთ ორი ტიპის ტექსტს: I ტექსტი პირადი ხასიათისაა, II კი – საგანმანათლებლო.

<u>გაეცანით ქვემოთ მოცემულ ტექსტებს და უპასუხეთ შეკითხვებს.</u>

ტექსტი I

ერთ-ერთი ტურისტული ორგანიზაციის ვებგვერდზე მითითებულია შემდეგი ინფორმაცია: გთავაზობთ 1-დღიან ტურს ქვემო ქართლში, ბირთვისის ციხესიმაგრესა და კანიონზე.

ისტორიული ცნობა ბირთვისის შესახებ:

ბირთვისის ციხესიმაგრე საქართველოს დიდი ისტორიის მოწმეა. ბირთვისის ციხე ისტორიულ წყაროებში პირველად მოხსენებულია XI საუკუნეში, თუმცა იგი გაცილებით ადრე უნდა აეგოთ. თავის დროზე ბირთვისის ციხე აუღებლადაც ითვლებოდა. იგი ბუნებრივად მიუდგომელ ადგილზე მდებარეობს. ბირთვისი არ არის ჩვეულებრივი ციხე, რომელსაც გალავანი და კოშკები შემოფარგლავს. აქ მაღლა აზიდული მთებით შემოსაზღვრულ დიდ ტერიტორიაზე კლდოვანი და წვეტიანი მთებია გაფანტული. ყველა გასასვლელი ხელოვნურადაა გამაგრებული და კედლითაა გადაკეტილი.

ჩანაწერი მოლაშქრის ნაამბობიდან:

,,შემოდგომის დადგომასთან ერთად მეგობრებმა ჩვენი მოგზაურობა ბირთვისით დავიწყეთ. თბილისიდან 8 საათზე გავედით და დანიშნულების ადგილას დაახლოებით 9 საათისთვის ჩავედით. ლანდშაფტი კლდიანი და უსწორმასწოროა, ამიტომ მანქანა მთის ძირას დავტოვეთ და სვლა ფეხით განვაგრძეთ. რაც უფრო ვუახლოვდებოდით დანიშნულების მთავარ წერტილს, უფრო და უფრო გვიჭირდა საოცარი ხედებით გამოწვეული აღტაცების დამალვა. მცირე ხანს ორივე მხრიდან უზარმაზარი ლოდებით შემოსაზღვრული ვიწრო გზით ვიარეთ და უამრავი საცოცი კლდით სავსე ულამაზეს კანიონში ჩავედით. პატარა გამოქვაბულს მივადექით, ზედმეტი ტვირთი იქვე დავტოვეთ და გზა განვაგრძეთ ხეობის ყველაზე მაღალი კლდისკენ, ბირთვისის ციხე-კოშკის -,,შეუპოვრის“ - სანახავად. ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ ნაწვიმარზე ფეხი გვისრიალებდა და გვირთულდებოდა კლდეებზე ასვლა.

რაც შეეხება გზას, ბირთვისის ციხეზე ლაშქრობა რთული მოგზაურობების სიაში არ შედის, თუმცა, ჩვენთვის მაინც არ ყოფილა ადვილი საკმაოდ დამრეც კლდეებზე აძრომა, რაშიც ალპინისტური თოკი დაგვეხმარა. ამ თოკით ასვლა-დაშვებაც ჩვენთვის ახალი ხილი იყო. ადრენალინმა, რა თქმა უნდა, თავისი ქნა და დაგვაძლევინა სიმაღლის შიში. რაც უფრო მაღლა მივიწევდით, უფრო და უფრო გვემატებოდა ჟინი და ინტერესი, რა დაგვხვდებოდა ზევით. იმ ფაქტს, რომ გამოუცდელები ვიყავით მსგავს გზებზე სიარულში, დიდად არ შევუშინებივართ და დაახლოებით საათ-ნახევარში აღმოვჩნდით მთის წვერზე. ის უკიდეგანო სივრცე და სილამაზე ფოტოზეც ვერ აღიბეჭდებოდა, ამიტომ ღრუბლებთან ახლოს გატარებული წამებით ტკბობაღა დაგვრჩენოდა.“

მასალა მომზადებულია https://georgiantravelguide.com ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით.

1. ქვემოთ მოცემულია რჩევები მოლაშქრეთათვის. მათგან რომელი **<u>არ გამოადგება</u>** ბირთვისში მოლაშქრეს?

ა) ჩაიცვით აუცილებლად დახურული ფეხსაცმელი, რომელიც კომფორტულია და აქვს სქელი, დრეკადი, რელიეფური ძირი კარგი მოჭიდებით;
ბ) თან იქონიეთ გამოსაცვლელი ფეხსაცმელი და ტანსაცმელი კანიონებში სიარულისას შესაძლოა დასველდეთ;
გ) გამოცდილი გიდის გარეშე ნუ შეეცდებით ასვლას დამრეც კლდეებზე, რომლებიც ერთი შეხედვით მარტივად დასალაშქრად გამოიყურება;
*დ) ბირთვისის კანიონამდე მისასვლელად აუცილებლად დაგჭირდებათ მაღალი გამავლობის ავტომანქანა.

2. ბირთვისის ციხეს ,,შეუპოვარს“ ეძახიან, რადგან:

ა) ის კლდეებით და წვეტიანი მთებით არის გარშემორტყმული;
ბ) ის ყველაზე მტკიცე ქვით არის ნაშენები;
*გ) მრავალი წლის განმავლობაში მტერი ვერ ახერხებდა მის აღებას;
დ) მოგზაურთა გადმოცემით, მასზე ასვლა ურთულესია.

3. ვის ურჩევდით ბირთვისში სალაშქროდ წასვლას?

*ა) მათ, ვისაც ველური ბუნება, თავგადასავლები და სიძველეების გაცნობა აინტერესებთ;
ბ) მხოლოდ კარგი ფიზიკური მომზადების მქონე გამოცდილ მთამსვლელებს;
გ) მათ, ვისაც ისტორიული ძეგლები აინტერესებს, თუმცა ექსტრემი არ იზიდავს;
დ) ფოტოგრაფიით გატაცებულ მოგზაურებს, რომლებსაც ფეხით დიდი მანძილის გავლა არ შეუძლიათ.

4. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რას <u>**არ გულისხმობს**</u> წინადადება: „ბირთვისის ციხესიმაგრე საქართველოს დიდი ისტორიის მოწმეა“?

ა) ბირთვისის ციხესიმაგრეს ბევრი მტერი მოუგერიებია;
ბ) ბირთვისის ციხესიმაგრეს ბევრი რამ გადახდენია თავს;
*გ) ბირთვისის ციხესიმაგრე ბევრ ისტორიულ წყაროში მოიხსენიება;
დ) ბირთვისის ციხესიმაგრე უცხოტომელთა თავდასხმის ობიექტი ბევრჯერ ყოფილა.

5. სიტყვა **კანიონი** ნიშნავს:

ა) დამრეც კლდეს
*ბ) ღრმა და ვიწრო ხეობას
გ) კლდეში გამოქვაბულს
დ) თვალუწვდენელ უფსკრულს

6. ტექსტში მოცემულია წინადადება: „ალპინისტური თოკით ასვლა-დაშვებაც ჩვენთვის ახალი ხილი იყო.“ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამოხატავს ამ წინადადების შინაარსს?

ა) ალპინისტური თოკით კლდეზე ასვლა-ჩამოსვლა უსიამოვნო სიახლე იყო ჩვენთვის;
ბ) კლდეზე ასვლა-დაშვების დროს მანამდეც ხშირად ვიყენებდით ალპინისტურ თოკს;
გ) ალპინისტურმა თოკმა კლდეზე ასვლა და ჩამოსვლა მნიშვნელოვნად გაგვიადვილა;
*დ) კლდეზე ასვლა-დაშვების დროს აქამდე არასოდეს გამოგვიყენებია ალპინისტური თოკი.

7. ქვემოთ მოცემული მსჯელობებიდან რომელი <u>**არ გამომდინარეობს**</u> ტექსტებიდან?

*ა) ბირთვისის ციხის უნიკალურობას მტკიცედ ნაშენი კედლები განაპირობებს, რაც ადრეული სამხედრო არქიტექტურის ხარისხიანობაზე მეტყველებს;
ბ) ბირთვისის ციხის შემოგარენის თვალისმომჭრელი სილამაზე გზის სირთულეს გავიწყებს და ენერგიით გავსებს;
გ) ბირთვისის ციხის ბუნებრივი ლანდშაფტური არქიტექტურა მას მნიშვნელოვან სამხედრო წარმატებათა სიმბოლოდ აქცევდა;
დ) იმ მოლაშქრეებისათვის, რომელთა სპორტულ გატაცებასაც მეკლდეურობა წარმოადგენს, ბირთვისის ციხის მარშრუტი სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს.

ტექსტი II

ფრანგი მეცნიერები, საპენ-ჟალიუსტრი და პრევო, გვაწვდიან უახლეს მონაცემებს ანტარქტიდის ყველაზე უცნაურ ბინადართა – საიმპერატორო პინგვინების შესახებ. ამ ფრინველებს საიმპერატორო პინგვინები უზარმაზარი ტანისა და დიდი წონის გამო უწოდეს. დამცველი ცხიმის ფენის მიუხედავად, საიმპერატორო პინგვინები ცალ-ცალკე ვერ იარსებებდნენ. სწორედ ამიტომაცაა, რომ მათ შორის ასე განვითარებულია ,,საზოგადოებრივი" თერმორეგულაცია. როდესაც ტემპერატურა მეტისმეტად ეცემა, 200-300 პინგვინი მჭიდროდ ეკვრის ერთმანეთს და ქმნის ნამდვილ წრეს - ე. წ. კუს. ეს წრე ნელა, მაგრამ განუწყვეტლივ ტრიალებს ცენტრის გარშემო. ბარტყების გამოჩეკის დროს ,,კუს" შეიძლება ქმნიდეს 500-დან 600-მდე ინდივიდი. ცენტრის ირგვლივ ბრუნვისას ისინი ნელა მოძრაობენ ქარის მიმართულებით. თოვლიანი ქარიშხალი აქ 36-48 საათს გრძელდება. როგორც პრევომ დაადგინა, ასეთ ქარ-თოვაში ,,კუ" 100-200 მეტრით იცვლის ადგილს. ქარიშხლის შემდეგ პინგვინები იშლებიან. ეფექტურია თუ არა ასეთი ,,საზოგადოებრივი" თერმორეგულაცია? ფრანგი მეცნიერები დარწმუნდნენ მის ეფექტურობაში, როდესაც ტემპერატურა გაზომეს. -19° ყინვის პირობებში ტემპერატურა ,,კუს" შუაგულში დაახლოებით +35° აღმოჩნდა.

სიჩუმე და მყუდროება პინგვინების კოლონიისთვის უცხოა. ისინი სხვადასხვაგვარ ხმას გამოსცემენ. ზოგჯერ მათი ხმა საყვირის ხმის მსგავსად ჟღერს და იმდენად ძლიერია, რომ რამდენიმე კილომეტრზე ისმის. პინგვინების ხმაურში შეიძლება გავარჩიოთ შეძრწუნების, მრისხანებისა თუ სიამოვნების გამომხატველი ძახილი. პრევომ კოლონიას რამდენიმე კილომეტრით ჩამოშორებულ პინგვინს კაპიუშონი ჩამოაფარა თვალებზე და მხოლოდ სასმენი ორგანოები დაუტოვა თავისუფალი. როგორც კი მან პინგვინი გაუშვა, ფრინველი პირდაპირ თავისიანებისკენ გაემართა. როცა პირიქით მოიქცა - სასმენი ორგანოები დაუხშო და თვალხილული დატოვა - დაბნეულმა ფრინველმა ერთ ადგილას დაიწყო ტრიალი და თავის კოლონიას ვერ მიაგნო.

ზაფხულის ბოლოს (ანტარქტიდაზე ესაა დაახლოებით მარტის შუა რიცხვები) მცურავი ყინულები ცალკეულ ნატეხებად იმსხვრევა და პინგვინები, რომლებიც ყინულის ნატეხებზე აღმოჩნდებიან, დიდი მანძილით შორდებიან თავიანთ კოლონიას. მაგრამ როცა ზღვა ყინულით დაიფარება, ისინი, რაღაც საიდუმლო ხერხის წყალობით, უკან ბრუნდებიან. როგორც კი ახალმოსული პინგვინი კოლონიას რამდენიმე მეტრით მოუახლოვდება, ხრის თავს მიწამდე, იწყებს სიმღერას, ნელ-ნელა თავს მაღლა სწევს, მიაყურადებს და ხანმოკლე პაუზის შემდეგ პინგვინების გროვაში ერევა. ამ გზით პინგვინები თავიანთ ,,მეუღლეებსაც" პოულობენ. პრევომ რგოლებით დანიშნა ფრინველები და დარწმუნდა, რომ ხმოვანი სიგნალები ეხმარება ,,მეუღლეებს" ერთმანეთის მოძებნაში, მათი ,,განქორწინება" კი იშვიათობას წარმოადგენს. როგორც წესი, დედალი პინგვინი უბრუნდება კვერცხზე მჯდარ მამალს - იგი მთელ კოლონიაში დაეძებს მას, პოულობს და კვერცხზე მის ადგილს იკავებს. მაშინაც კი, როდესაც მთელი კოლონია ,,კუდ" იკვრება, მეუღლეები ცდილობენ, რაც შეიძლება ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, ისინი ხშირად თავს აყრდნობენ ერთმანეთს.

1. რა არის ე.წ. კუს დანიშნულება?

ა) პინგვინების მრავალრიცხოვანი კოლონია ქმნის ნამდვილ წრეს, რათა პინგვინებმა შეძლონ გადაადგილება ქარ-თოვაში;
ბ) პინგვინები ცენტრის ირგვლივ ბრუნვისას ქარის მიმართულებით მოძრაობენ, რათა ქარიშხლის დროს ერთმანეთს არ დაშორდნენ;
*გ) პინგვინები მჭიდროდ ეკვრიან ერთმანეთს და ქმნიან განუწყვეტლივ მოძრავ წრეს, რათა შეინარჩუნონ ტემპერატურა გარკვეულ დონეზე;
დ) 500-დან 600-მდე პინგვინისგან შემდგარი წრე ნელა ბრუნავს, რათა ხელი არ შეეშალოს ბარტყების გამოჩეკის პროცესს.

2. სიტყვა ,,თერმორეგულაციას“ ერთვის მსაზღვრელი ,,საზოგადოებრივი“, რადგან:

*ა) პინგვინების კოლონია, როგორც საზოგადოება, გარკვეული წესის დაცვით საერთო მიზნის მისაღწევად ურთიერთშეთანხმებულად მოქმედებს;
ბ) პინგვინები ცალ-ცალკე ვერ იარსებებენ და კოლონიაში თერმორეგულაციის დროს მათი გუნდი უნდა დაემსგავსოს ნამდვილ საზოგადოებას;
გ) თერმორეგულაციის პროცესზე დაკვირვების შედეგად ნათლად გამოიკვეთა, რომ პინგვინთა გუნდი ადაპტირებულია ანტარქტიდის კლიმატთან;
დ) პინგვინების გუნდის სოციალური სტრუქტურა საზოგადოებრივი სტრუქტურის იდენტურია.

3. პრევოს ექსპერიმენტის შედეგად შეუძლებელია დავასკვნათ:

ა) პინგვინების მიერ გამოცემული სხვადასხვაგვარი ხმოვანი სიგნალები ეხმარება მათ ერთმანეთის პოვნაში;
*ბ) კომუნიკაციის პროცესში როგორც ვიზუალური, ასევე სმენითი სტიმულები პინგვინებისათვის გადამწყვეტ როლს ასრულებს;
გ) პინგვინების სივრცეში ორიენტაციის უნარი, არსებითად, აკუსტიკურ შეგრძნებას ემყარება;
დ) პინგვინების მიერ საკუთარი კოლონიის ძიების პროცესში ხმოვანი სიგნალების მნიშვნელობა აღემატება ვიზუალურისას.

4. რატომ დანიშნა პრევომ რგოლებით პინგვინები?

ა) რათა გაერკვია, რატომ არ შორდებიან არასოდეს ,,მეუღლეები“ ერთმანეთს;
ბ) რათა გაერკვია, რა არის ის საიდუმლო ხერხი, რომლის დახმარებითაც ყინულს მოწყვეტილი პინგვინები უკან ბრუნდებიან;
*გ) რათა დარწმუნებულიყო, რომ ,,მეუღლეებმა“ ხმოვანი სიგნალების დახმარებით იპოვეს ერთმანეთი;
დ) რათა დარწმუნებულიყო, რომ პინგვინთა წყვილების ,,განქორწინება“ ძალიან იშვიათი შემთხვევაა.

5. რა მიმართებაა II და III აბზაცებში აღწერილ კვლევებს შორის?

*ა) ამ კვლევების პროცედურები განსხვავდება ერთმანეთისგან, მიუხედავად ამისა, მათი შედეგები მსგავსია;
ბ) ამ კვლევების პროცედურები მსგავსია, მიუხედავად ამისა, მათი შედეგები განსხვავდება ერთმანეთისგან;
გ) ამ კვლევების მიზნებიცა და პროცედურებიც მსგავსია, თუმცა მათი შედეგები განსხვავდება ერთმანეთისგან;
დ) ამ კვლევების მიზნებიცა და შედეგებიც განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა მათი პროცედურები მსგავსია.

6. ქვემოთ დასახელებულია ორი თემა, რომლებიც მიმოხილულია ტექსტში:
I – სმენის განსაკუთრებული მნიშვნელობა პინგვინების ურთიერთობაში
II – პინგვინების გამრავლება და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ასპექტი
რომელ აბზაცში ვითარდება თითოეული თემა, ანუ პასუხის ვარიანტებიდან რომელია მართებული?

ა) I მიმოხილულია პირველ აბზაცში, II კი – მესამეში;
ბ) I მიმოხილულია მესამე აბზაცში, II კი – მეორეში;
გ) I მიმოხილულია პირველ აბზაცში, II კი – მეორეში;
*დ) I მიმოხილულია მეორე აბზაცში, II კი – მესამეში.

7. რატომ არის ბრჭყალებში ჩასმული „მეუღლეები“ და „განქორწინება“?

ა) ეს სიტყვები ირონიით არის ნათქვამი;
ბ) ეს სიტყვები მკვლევართა ნათქვამის გამეორებაა;
გ) ეს სიტყვები მნიშვნელოვანია ტექსტის გასაგებად;
*დ) ეს სიტყვები გადატანითი მნიშვნელობით არის ნათქვამი.

8. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი სათაური შეესაბამება ამ ტექსტს?

ა) საზოგადოებრივი თერმოიზოლაცია და საიმპერატორო პინგვინები;
*ბ) საიმპერატორო პინგვინების სპეციფიკურ მახასიათებლები;
გ) სმენისა და მხედველობის პრობლემები საიმპერატორო პინგვინების ცხოვრებაში;
დ) ყინვის პირობებში ტემპერატურის რეგულირება პინგვინების „კუს“ ცენტრში.

სწორი პასუხები მონიშნულია (*) ნიშნით.